საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2403 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს უზუფრუქტის საგნის გაზსადენის მშენებლობის უზრუნველყოფისათვის სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად და საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

				ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ
№	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)
1	61.13.31.304	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	66
2	61.13.31.305	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	112
3	61.13.31.306	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	8
4	61.13.31.307	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	2
5	61.13.31.308	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	523
6	61.13.31.309	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი არალი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	92
7	85.11.21.186	წალკის მუნიციპალიტეტი, ბურნაშეთი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	24